პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 31 იანვარი 1926 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.

# წითელი კაზარმა

22 (1017) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## წვევამდელო! პირნათლად მოიხადე შენი მოვალეობა.

სულ რამოდენიმე დღე დარჩა 1905 წელში დაბადებულ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის შეკრებამდე, წვევამდე მზადების გასავლელად.

უპირველეს ყოვლისა, სანამ თვით შეკრება დაიწყებოდეს, ადგილებზე სათანადო ორგანოების მიერ ჩატარებულ იქნება ახალგაზრდების ჯანმრთელობის შემოწმება და ვარგისიანების წვევამდე წერტებზე მიწერა. ამის დამთავრების შემდეგ კი დაიწყება წერტებზე ნორმალური მეცადინეობა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში.

რაც დრო გადის, მით უფრო უმჯობესდება და სათანადო შედეგებს იძლევა წვევამდე მზადება. ამას წინად ჩატარებული შეკრება 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდების, გაცილებით უფრო ნაყოფიერი და ...ური იყო, ვინემ იმაზე წინად. ამ უკანასკნელი შეკრების დროს უფრო შეგნებულად იხდიდა თავის მოვალეობას სათანადო ასაკის ახალგაზრდობა, წარსულთან შედარებით, საგრძნობი იყო ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარება და სხვა.

მაგრამ ამითი იმისი თქმა არ შეიძლება, რომ ამ დარგში უკანასკნელი შეკრების (1904 წელში დაბადებულთა) დროს არ ყოფილიყოს რაიმე ნაკლი. ნაკლი იყო და სწორედ ბევრ ალაგას ამან ნაწილობრივ ხელი შეუშალა წვევამდე მზადების გატარებას.

მომავალში უნდა ვეცადოთ, რომ უფრო მომზადებულად შევხვდეთ ამ დიდ საქმეს, რომლიდანაც მომავალში უნდა შეივსოს ჩვენი წითელი არმიის რიგები. 1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდათა მომავალი შეკრებისათვის ჩვენმა ნაწილებმა აქედანვე უნდა დაიწყონ სამზადისი. ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა, რომლებმაც საკმაო გამოცდილება მიიღეს წერტებზე მუშაობით, უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ მომავალი შეკრების დროს ადგილი აღარ ექნეს იმ შეცდომებს, რომელსაც ჩვენ ვამჩნევდით წარსულში. ამ ამხ-გებმა აქედანვე უნდა დაიკავონ მჭიდრო კავშირი ადგ. ორგანიზაციებთან და უკანასკნელების დახმარებით ადგილობრივი პირობებისდა მიხედვით მოაწყონ წვევამდელთა შესაკრები და სამეცადინო წერტები და მათი ბინები.

ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ წვევამდელთა მზადების კიდევ უფრო ნაყოფიერად ჩატარების საქმეს.

წვევამდელო! მუშურ-გლეხური ხელისუფლება ამ ჟამად თქვენ მოგიწოდებს წერტებზე შეკრებისთვის, სულ რამოდენიმე კვირის ვადით, რომ აქ, წითელი არმიის სათანადო ნაწილების მომუშავეთა ხელმძღვანელობით კარგათ შეისწავლოთ ის პროგრამა, რომლის გავლა სავალდებულოა თქვენთვის.

მაშ ამ შეკრების დროსაც პირნათლად მოიხადეთ თქვენი მოვალეობა და შეგნებულად გაეშურეთ წერტებისაკენ.

## „რემედასს"-ის უჯრედების პირველი კონფერენცია.

გუშინ საღამოს პოლიტგანყოფილების შენობაში გაიხსნა მეორე დივიზიის ნაწილებში არსებულ „რემედასს"-ის უჯრედების პირველი კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში სდგას ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. როგორიც არის: 1. საერთაშორისო მდგომარეობა და „რემედასს"-ის ამოცანები, 2. დივკომიტეტის ანგარიში. კონფერენცია ჯამს გაუკეთებს უჯრედების მიერ გატარებულ მუშაობას, აღნუსხავს ნაკლს და მიღწევებს და გამოიმუშავებს მომავალი მუშაობის გეგმებს.

უეჭველია „რემედასს"-ის უჯრედების მუშაობა ჩვენი დივიზიის ნაწილებში იყო დამაკმაყოფილებელი, მაგრამ ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მას ჰქონდა მრავალი ნაკლიც. მთავარი ნაკლი არის ის, რომ უჯრედებმა ვერ შესძლეს თვის მუშაობაში წითელ არმიელთა ფართე მასის ჩაბმა და ვერ დაინტერესეს ეს მასა ნაყოფიერი მუშაობით.

კონფერენციამ უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და გამონახოს ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

არ კმარა დრო გამოშვებით მარტო მოხსენებების ჩატარება „რემედასს"-ის მნიშვნელობის შესახებ. საჭიროა მუშაობას ნაწილებში მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „რემედასს"-ის უჯრედი მარტო თავისი ძალით ვერ გაუძღვება მუშაობას, თუ მას არ დაეხმარა კლუბი, ბიბლიოთეკა და ნაწილის პარტორგანიზაცია. მათი დახმარებით უჯრედი შესძლებს გააფართოოს მუშაობა და მიიზიდოს მეტი რიცხვი წითელ არმიელებისა.

გარდა ამისა ლენკუთხეებში საჭიროა იმართებოდეს საუბარი „რემედასს"-ის მუშაობაზე, მის მნიშვნელობაზე საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით. ამ საშვალებით ჩვენ გავაცნობთ წითელ არმიელებს იმ დიდ მუშაობას, რომელსაც აწარმოებენ კაპიტალისტურ ქვეყნების მუშები და გლეხები თავისუფლების მოსაპოვებლად და როგორ უმასპინძლდებიან მათ ამ ქვეყნების გაბატონებული კლასები.

მასიურ მუშაობაში კლუბს და ბიბლიოთეკას აქვს ფართე გასაქანი და მხოლოდ საჭიროა, რომ ყველა საშვალება მათ მიერ გამოყენებულ იქნას სავსებით.

ამ გზით შეიძლება „რემედასს"-ის უჯრედების მუშაობა გავაძლიეროთ, გავაფართოოთ და დავაყენოთ სწორ გზაზე.

ი—ა.

# ახალი რადიო ამბები

## ჩიჩერინის დეპეშა ვან-ჩუენ ტინისადმი



გომინდანის თავჯდომარე ვან ტინ-ვეი

ჩიჩერინმა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ჩინეთში ამხ. კარახანს დეპეშა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვან-ჩუენ-ტიანზე გადასაცემად.

დეპეშაში ნათქვამია:

„თქვენი დეპეშის პასუხათ გაცნობებთ, რომ საკავშირო მთავრობა შეუდრეკელად ილტვის განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა ჩინეთის ხალხთან.

ამასთანავე გამოვსთქვამ იმედს, რომ ჩინეთის მთავრობა მიიღებს ყოველივე ზომებს, რათა ისეთი ამბები, როგორსაც ადგილი ჰქონდა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე, თავიდან იქნება აშორებული და კვლავ არ განმეორდება.

ჩიჩერინი.

## გახსნილ იქნა ჩინეთის პროფკავშირები.

დაპატიმრებული ხელმძღვანელები გაათავისუფლეს.

ჩინეთის ხელისუფალნი ხარბინში, რომლებმაც გამოსცენ ბრძანება პროფკავშირთა დახურვის შესახებ, მეტად ცუდ გუნებაზე დააყენა მუკდენიდან მიღებულ ბრძანებამ პროფკავშირების კვლავ გახსნის შესახებ.

მუშათა განწყობილება კარგია.

ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი. გათავისუფლებულ იქნა ყველა პროფესიონალური მოღვაწეები. მუშები, რომლებმაც უკან წამოიღეს ავტომობილით პროფკავშირთა საქმეები პოლიციის უბნიდან, ინტერნაციონალის სიმღერით დაბრუნდენ უკან.

## პოლიციელების კონფერენცია.

როგორც სამხრეთ-სლავიის წყაროებიდან სჩანს, ახლო მომავალში ბუქარესტში შესდგება მცირე ანტანტის ქვეყნების პოლიციის უფროსთა კონფერენცია.

კონფერენციის მიზანია გამოსძებნონ ზომები კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

## 78 გლეხის გასამართლება.

რუმინეთში დაიწყო 78 გლეხთა გასამართლება, რომლებიც დააპატიმრა მთავრობამ ამ 11 თვის წინად, როცა დობრუჯის სოფლებში ადგილი ჰქონდა მღელვარებას გლეხებს შორის მიწის საკითხის გარშემო

მათ ბრალი ედებათ სახელმწიფოს წინააღმდეგ მუშაობაში.

## ტრამვაის მუშების გაფიცვა პოლონეთში.

ვარშავაში (პოლონეთში) იფეთქა ტრამვაის მუშათა გაფიცვამ. მოითხოვენ ზოგიერთ პირობების გაუმჯობესებას.

მუშებს უარი უთხრეს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, რის გამო ტრამვაის მოძრაობა სრულიად შესწყდა.

## ერთიანი ფრონტი რუმინეთის მთავრობის წინააღმდეგ.

რუმინეთში ახალ არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით გლეხთა და ეროვნული პარტიები აწარმოებენ მოლაპარაკებას ერთიანი ფრონტით გამოსვლის შესახებ მთავრობის წინააღმდეგ.

ხმებია, რომ ეს პარტიები უკვე შეთანხმდენ ამ საკითხში.

## საბჭოთა კავშირში

### დანიშვნა.

ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისრად ფინანსთა კომისრის თანამდებობის აღმასრულებელი ბრიუხანოვი.

სსრკ-ს უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარედ დაინიშნა ულრიხი.

### ელექტრო სადგური ზესტაფონში

შორაპნის სამაზრო კომუნალურ მეურნეობამ დაადგინა ააგოს ზესტაფონში ელექტრო-სადგური.

ორშაბათს, ა. წ. 1 თებერვალს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1) კომუნალური . . . . (ტფ. აღმასკომის დარბაზი).
   1) სექციების მუშაობის 3 თვიანი გეგმის განხილვა
   2) ბიუროს გადარჩევა.
2) საფინანსო . . (საფინანსო განყოფილებაში).
   1) სექციის სუშაობის 3—თვიანი გეგმის განხილვა
   2) მოხსენება გადასახადთა ქვე/განყოფილების მოქმედების შესახებ
   3) ბიუროს გადარჩევა.
3) სახალხო განათლების . . . (განათლების განყოფილებაში).
   1) მოხსენება გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების შესახებ
   2) მოხსენებები ადგილებიდან.
4) სახალხო ჯანმრთელობის . . . (ჯანმრთელობის განყოფილებაში).
   1) სექციის მუშაობის 3—თვიანი გეგმის განხილვა
   2) მოხსენება ქალაქის და დამზღვევ სალაროს ამბულატორიათა შესახებ.
   3) მოხსენება დედათა და ბავშვთა დაცვის შესახებ.
5) სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის (საადგილ-მამულო განყოფილებაში).
   მოხსენება მაზრაში სავეტერინარო დახმარების შესახებ.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

# არმიის მე-4 პარტკონფერენცია.

## კონფერენციის გახსნა.

29 იანვარს საღამოს წითელ თეატრში გაიხსნა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პარტიულ ორგანიზაციების მე-4 კონფერენცია. კონფერენცია გახსნა კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის პოლიტსამართველოს უფროსმა და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრმა ამხ. რატნეკმა. ამხ. რატნეკის წინადადებით, კონფერენციამ პატივი სცა ფეხზე ადგომით წლის განმავლობაში დაღუპულ პარტიის პირველ რიგებში მდგომ ლენინის საუკეთესო მოწაფეების—ამხ. ამხ. ფრუნზეს, მიასნიკოვის, ატარბეკოვისა და მოგილევსკის ხსოვნას.

შესავალ სიტყვაში ამხ. რატნეკმა აღნიშნა, რომ ქვეყნისა და ჩვენი მეურნეობის ზრდასთან ერთად გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი წითელი არმია. კონფერენციის ამოცანაა—შეაფასოს წარმოებული მუშაობა, აღრიცხოს მიღწევები და სუსტი მხარეები. კონფერენციის მუშაობა იქნება ნაბიჯი წინ ჩვენი არმიის ბრძოლის უნარიანობის შემდეგი განმტკიცების საქმეში.

კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) პარტიის მორიგი ამოცანები, 2) კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს მოხსენება, 3) არმიის პარტიულ კომისიის ანგარიში, 4) სამხედრო აღმშენებლობის ამოცანები ამიერკავკასიაში, 5) პარტიულ აღმშენებლობის ამოცანები (თანამოხსენება კომკავშირის შესახებ), 6) აგიტაცია-პროპაგანდის მუშაობა, 7) სამხედრო-საზღვაო ინსპექციის მოხსენება 8) არმიის პარტიულ-კომისიის არჩევნები.

კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 27 ამხანაგი. პრეზიდიუმის საპატიო წევრებად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. სტალინი, ვოროშილოვი, ბუბნოვი, რიკოვი და კალინინი.

კონფერენციამ დაადგინა გაუგზავნოს მისალმების დეპეშები საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ამიერკავკასიის ცაკის მე-2 სესიას, რესპუბლიკის პოლიტსამმართველოს და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს.

შემდეგ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს სახელით მისალმებით გამოდის არმიის სარდალი ამხ. ლევანდოვსკი, რომელსაც მხურვალე ტაშს უმართავს კონფერენცია.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე (პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ) მოხსენებით გამოდის ამხ. ორჯონიკიძე. კონფერენცია მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდება მომხსენებელს. ამხ. ორჯონიკიძე თავის ვრცელ სიტყვაში დაწვრილებით ჩერდება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-XIV ყრილობის დადგენილებებსა და პარტიის ამოცანებზე.

# კოოპერაციის გზით სოციალიზმისკენ.

**პარტიის მე-14 ყრილობა კოოპერაციის შესახებ.**

რევოლიუციამ გამოაღვიძა გლეხი და დღეს ის უკვე აღარაა ისეთი, როგორიც მსოფლიო ომამდი იყო. დღეს საგულისხმიეროა სოფლის ლტოლვა უკეთესი ცხოვრებისაკენ. გლეხში გაიზარდა კეთილმოწყობისა და საერთოდ უკეთესი ცხოვრების მოთხოვნილება.

მრეწველობა აკეთებს ყველაფერს, რაც კი შეუძლია, რათა დაეხმაროს გლეხს კულტურულ ცხოვრების მოწყობაში. ის უმატებს საქონლის დამზადებას, აუმჯობესებს ნაწარმოების ხარისხს. მაგრამ გლეხის ცხოვრების გაუმჯობესება დამოკიდებულია არამარტო სოციალისტურ მრეწველობის ზრდაზე, არამედ საკოოპერაციო ქსელის გაფართოებაზეც.

ყველასათვის ცხადია, რომ მსხვილი მეურნეობა წვრილ მეურნეობაზე უფრო ხელსაყრელია. გლეხობას უნდა ცხოვრების გაუმჯობესება, მაგრამ ის ვერ მიაღწევს მის გაუმჯობესებას ცალკე წვრილ მეურნეობათა საშუალებით. ცხოვრების გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ რომ სოფელს ექნება ტრაქტორი, ეყოლება კარგი მომუშავე ხარები, თუ რომ დაპატივებულ იქნება მიწა ხელოვნურად, თუ რომ ხელსაყრელ პირობებში გასაღდება მოსავალი და სხვა.

მოთხოვნილება დიდის სიჩქარით იზრდება. და მხოლოდ მსხვილ მეურნეობაზე გადასვლას შეუძლია ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ერთად-ერთი საუკეთესო გზა მსხვილ წარმოებისკენ—ეს არის კოოპერაცია. ცხოვრების გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ შეერთებული ძალებით.

ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობა მსხვილ მეურნეობას შექმნიან კოოპერაციაში გაერთიანებით. კარგი კომუნა ნიშნავს კარგ ცხოვრებას. ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ შექმნილ იქნას ამხანაგობა მიწის დამუშავებაში, შექმნილ იქნას პირველ ხანებში „არტელები", რომლებიც დროთა განმავლობაში გადაიქცევიან კომუნად.

სოფლად კოოპერაცია იზრდება და მომავალშიც გააგრძელებს ის ზრდას. ამის მაგალითი ჩვენ მოგვცა საბჭოთა კავშირის სოფლებმა.

კოოპერაციის ზრდასთან ერთად გაიზრდება სოფლის კულტურული დონე და თანდათან დასუსტდება და გადაშენდება სოფლის ბობოლები. გლეხს ბობოლა არ უყვარს, მაგრამ ბობოლა სარგებლობს თავისი გაალენით სოფლად, ვინაიდან მისი მეურნეობა კარგი გამართულია, რასაც მოკლებულია ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხი.

კოოპერაცია, უეჭველია, შეავიწროებს ბობოლას და დაუკარგავს მას გავლენას სოფლად. კოოპერაციას შეუძლია მოაწყოს ბობოლას მეურნეობაზე უკეთესი, უფრო კულტურული მეურნეობა; კოოპერაცია უფრო კარგ რჩევა-დარიგებას მისცემს გლეხს, ვიდრე ბობოლა; კოოპერაცია გულწრფელი რჩევით დაეხმარება გლეხს.

კოოპერაციის შექმნითა და გაძლიერებით გლეხობა საკუთარი ხელით აშენებს სოციალიზმს. ლენინი ამბობდა, რომ გლეხობის საყოველთაო ჩაბმა კოოპერაციაში მიაქვს სოციალიზმს— კოოპერაციაში შეგნებულ, თვითმოქმედებითი და ნებაყოფლობითი მონაწილეობის პირობებში.

ჩვენი პარტია მიდის ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. მე-14 პარტიულ ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია კოოპერაციას. პარტიის ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რომ თუ კოოპერაცია არ იქნება განვითარებული, შეუძლებელი იქნება სოციალიზმის შენება ჩვენს ქვეყანაში. კოოპერაცია ჩვენში —ერთად-ერთი გზაა მსხვილი სოციალისტური მეურნეობის შესაქმნელად სოფლად, ერთად ერთი გზაა სოციალიზმისკენ.

ქ. ზ.

# ამიერკავკასიის ცაკის მეორე სესია

**ამხ. გუსეინოვის მოხსენება ამიერკავკასიის ბიუჯეტის შესახებ.**

ამიერკავკასიის 1925—26 წლის ბიუჯეტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გუსეინოვი.

— ამიერკავკასიის მრეწველობასა და მეურნეობას—ამბობს მომხსენებელი—აღორძინება დაეტყო. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ ადგილობრივი ბიუჯეტი.

უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში შემოსავალი საგრძნობლად გაიზარდა. 1923—24 წელთან შედარებით მიმდინარე წლის შემოსავალი გაიზარდა ორნახევარჯერ.

სასოფლო სამეურნეო გადასახადი წარსულ წელს ამიერ კავკასიაში უდრიდა 10.590.000 მანეთს. მიმდინარე წელს ეს გადასახადი დაკლებულია და უდრის 5.135.000 მანეთს. საქართველოში ის უდრის 1 მილ. 556.000 მანეთს, აზერბეიჯანში—2.744.000 მანეთს, სომხეთში—969.000 მ.

გადასახადი ამიერკავკასიაში, მიუხედავად ასეთი შემცირებისა, ძალიან იგვიანებს.

სესიამ განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

განზრახულია მომავალი წლისთვის გადასახადში ცვლილების შეტანა და მისი დაახლოება საშემოსავლო გადასახადთან. თვითეულ რესპუბლიკას მინიჭებული აქვს შესწორების შეტანის უფლება.

**ბიუჯეტის გასავალი**

მომხსენებელი ეხება ბიუჯეტის გასავალს და აღნიშნავს, რომ უკვე საბოლოოდ არის განსაზღვრული „სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი. მილიციის, სახალხო სასამართლოების, მასწავლებლების, პირველი და მეორე საფეხურის სკოლების შენახვა მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტს ეკისრება.

ბიუჯეტის გასავალი წარსულ წელთან შედარებით 80 პროც. გაიზარდა. ეს ხარჯები განსაკუთრებით გაიზარდა კულტურულ საჭიროებისთვის.

შრომის საშუალო ხელფასი წელს უდრის 64 მანეთს. ეს უკვე თოთხმეტი მანეთით მეტია შარშანდელთან შედარებით.

რაც შეეხება ადგილობრივ ბიუჯეტს, გასულ წელთან შედარებით ის გაიზარდა 45 პროცენტით. ჩემის აზრით საჭიროა სესიამ მხარი დაუჭიროს ფინანსთა კომისარიატის შუამდგომლობას საკავშირო მთავრობის წინაშე დამატებითი თანხების გადიდების შესახებ. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოებმა კი თავის მხრივ უნდა მიიღონ ზომები ადგილობრივ ბიუჯეტის შესავსებად.

— ჩვენი ბიუჯეტი—ამბობს მომხსენებელი დასასრულ—პირველად წარმოადგენს ჩვენ საჭიროებათა აღნუსხვას და თუ მას ზოგიერთი ნაკლულევანება თან ახლავს, ის გამოსწორებულ იქნება მომავლისთვის.

მოხსენების გარშემო იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს რამოდენიმე ამხანაგი.

**ამხ. გუსეინოვის საბოლოო სიტყვა.**

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მომავალი წლიდან ადგილობრივი ბიუჯეტი უნდა ტარდებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთდროულად.

შემდეგ უპასუხებს რა კამათში მონაწილეთ, მომხსენებელი გამოსთქვამს რწმენას, რომ სახალხო კომისართა საბჭო საბინაო ფონდის განაწილების დროს მხედველობაში მიიღებს სომხეთის საჭიროებებს.

სესია ირჩევს კომისიას გუსეინოვის მოხსენების გარშემო რეზოლიუციის შესამუშავებლად.

**სესიის უკანასკნელი სხდომა.**

**ამხ. შავერდოვის მოხსენება.**

უკანასკნელ სხდომაზე ამიერკავკასიის ცაკის მდივანი ამხ. შავერდოვის მოხსენების გამო, სესიამ დაამტკიცა ამიერკავკასიის საბიუჯეტო უფლების მუხლი. ამას გარდა სესიამ დაადგინა, რათა აზერბეიჯანს, სომხეთსა და საქართველოში ფინანსთა კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოები გადაკეთებულ იქნას ფინანსთა სახალხო კომისარიატებად.

ბოლოს სესიამ მიიღო ამხ. ლუკაშინისა და გუსეინოვის მოხსენების გამო კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები.

**დელეგატების დაბრუნება**

29 იანვარს, ღამით სესიის წევრები გამოემგზავრენ ტფილისში.

# მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის პირველი პარტ-კონფერენცია

**ამხ. ადამაძის მოხსენების გაგრძელება.**

**სკოლის გარეშე მუშაობა.**

სკოლის გარეშე მუშაობა წითელი არმიის რიგებში არის პარტიის მუშაობა უპარტიოთა შორის. ეს მხრივ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს კიდევ ვერ გაუხდიათ უდაო დებულებად. სკოლის გარეშე მუშაობას, რაც შეიძლება, მეტი ღრმა შინაარსი უნდა მიეცეს.

დიდმნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სკოლის გარეშე მუშაობისთვის პარტიული შინაარსის მიცემა. კლუბმა და ლენინის კუთხემ უნდა შეასწავლოს წითელ არმიელს როგორც საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, ისე პარტიის ყოველი ახალი ნაბიჯი მშრომელთა მასების მიმართ.

მუშაობას აფერხებს აგრეთვე მუშაკთა სუსტი მომზადება. საჭიროა ამ დარგის მუშაკთა გადამზადება კურსების მოწყობის გზით და სამოქალაქო ორგანიზაციების ჩათრევა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შეკრებათა შორის მუშაობას, მარტო ყაზარმა არ უნდა იყოს სამოქმედო ასპარეზი. სამოქალაქო კლუბებსა და ქოხსამკითხველოებში უნდა დაჩქარდეს სამხედრო კუთხეების გახსნა, უნდა ჩამოყალიბდეს სამხედრო წრეები და მათში მუშაობის ხელმძღვანელობა უნდა დაევალოს სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებებს.

მუშაობის წარმატებისთვის ცვალებად შემადგენლობას სამხედრო კუთხეების საშუალებით ჩვენი ბიბლიოთეკებიდან უნდა მივაწოდოთ კოლექტიური აბონემენტებით წიგნები და ბროშურები. ენერგიულად უნდა მოვკიდოთ ხელი გაზ. „წითელი არმიელის" გავრცელების საქმეს (საჭიროა ამ საქმეში სათანადოდ ჩაებას სამოქალაქო ორგანიზაციები).

ლიტერატურის მიწოდების დროს ბიბლიოთეკების შესავსებლად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს წიგნების შერჩევას, სადაც უნდა ვიხელმძღვანელოთ სარეკომენდაციო სიებითა და დივბიუროს მითითებებით, რომელიც ქვეყნდება „წითელ არმიელის" ფურცლებზე.

მთელი სკოლის გარეშე მუშაობა საჭიროა გაიმსჭვალოს სამხედრო სულით. დიდი ადგილი უნდა დაეთმოს წითელი არმიის ბრძოლის ტრადიციების გაცნობას, სამოქალაქო ომის შესწავლასა და სხვა.

სკოლის გარეშე მუშაობა ძალიან მოისუსტებს წერტებზე. საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება.

სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობის წარმატებისათვის საუკეთესო საშუალებაა—უპარტიოთა შორის მუშაობის წარმოება. ამიტომ მუშაობა უნდა გადავიდეს ამ მხრივ და პარტორგანიზაცია მეტის ენერგიით უნდა შეუდგეს ამ საქმეს.

25 იანვრის საღამოს სხდომაზე ამხ. ბლუაშვილის, პატარაიას და ადამაძის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. მომხსენებლების საბოლოო სიტყვების შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები პოლიტგანყოფილების და პარტ-კომისიის მუშაობის გარშემო და დაადასტურა ზემოაღნიშნულ ამხ-გების მიერ წარმოდგენილი თეზისები.

ამის შემდეგ კონფერენციაზე მოხსენებას აკეთებს სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ა. ბერიძე. კონფერენციაზე დამსწრე დელეგატთა რიცხვი—ამბობს მომხსენებელი,—უდრის 90, ყველა გადამწყვეტი ხმის უფლებით და 24 სათათბირო ხმით.

ამის შემდეგ მომხსენებელი მოყავს დაწვრილებით ცნობებს დელეგატთა სოციალური, პარტსტაჟისა, წითელ არმიაში სამსახურში სტაჟის, ეროვნებისა და სხვათა მდგომარეობის შესახებ. კონფერენციამ ამხ. ბერიძის მოხსენება დაამტკიცა მთლიანად.

კონფერენციის დასასრულს მოხდა პარტკომისიის და არმიის მეოთხე კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები.

პარტკომისიის შემადგენლობაში არჩეული არიან შემდეგი ამხ.ნაგები წევრებად: ტიგიშვილი, უკულავა, ბლუაშვილი, ნანაძე და ლეკვეიშვილი, კანდიდატებად: ჩახუნაშვილი, ბარამიძე და ქაჯაია.

დაბოლოს კონფერენციას ესალმება გლეხის ცენტრალური სახლის გამგე ამხ. ხარაბაძე, რომელიც მოკლედ ეხება წითელი არმიის განმტკიცებაგამაგრების მნიშვნელობას და ხაზს უსვამს მუშებისა და გლეხების ურთი-ერთ კავშირის აუცილებლობას.

ყველა საკითხების ამოწურვის შემდეგ 25 იანვარს საღამოს კონფერენცია იხურება და დელეგატები მღერიან ინტერნაციონალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო საქმე.

## როგორ უნდა ვებრძოლოთ მტრის ავიაციას.

ავიაციის წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ ძნელი საქმეა. მაგრამ თუ კარგად იქნება გამოყენებული ბრძოლის ყველა საშუალებანი, მტრის ავიაცია არ იქნება საშიში. როგორ უნდა ვებრძოლოთ მას?

პირველყოვლისა ჩვენი ავიაციით, რომელიც, მტრის საჰაერო ძალების გამოჩენისთანავე, იწყებს მასთან ბრძოლას. ჰაერის ბრძოლა მოითხოვს დიდ გამოცდილებას და მეთაურის გაბედულებას. კარგი მცოდნე, გამჭრიახი და გაბედული მეთაური ყოველთვის გაიმარჯვებს ამ შემთხვევაში, თუნდაც მისი ძალები მტრისაზე მცირე იყოს. ამიტომ საჰაერო ძალთა პირად შემადგენლობის სათანადო მომზადება მეტად მთავარი პირობაა მომავალ ომებში წარმატებისთვის.

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა გავარკვიოთ, როგორ უნდა იბრძოლონ მიწაზე მეომრებმა მტრის წინააღმდეგ, თავიანთი საშუალებით?

აქ შეიძლება მოვიყვანოთ ბრძოლის ორი, მთავარი ხერხი. ერთი, რომ მტრის თვითმფრინავებს უშინს არტილერია და ტყვიამფრქვევი, მეორე—ჯარები და სხვა და სხვა იარაღი და მოწყობილობა კარგად უნდა იყოს შენიღბული და უზრუნველყოფილი, უმთავრესად, ჰაერის თვალთვალისგან.

მტრის თვითმფრინავების წინააღმდეგ ამ ბოლო დროს ხმარობენ ერთგვარ ქვემეხებს, რომლებიც ეწყობიან დაზგით ავტომობილებზე.

ამ დაზგის მეოხებით ქვემეხს შეუძლია სროლა მაღლა და ყოველ მიმართულებით. ხოლო თუ ასეთი ქვემეხი არაა, იმ შემთხვევაში მოწყობილ უნდა იქნას საველე არტილერია ისე, რომ შეიძლებოდეს ჰაეროპლანების წინააღმდეგ სროლა. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ სროლა ჰაერის მიზნებზე მეტად ძნელია და ხშირად უშედეგოცაა. ხდებაეს იმიტომ რომ ძნელია მანძილის განსაზღვრა მიწიდან თვითმფრინავამდი და, რაც მთავარია, ძნელია დამიზნება, ვინაიდან თვითმფრინავი დიდის სისწრაფით მოძრაობს. სროლა შაშხანიდან და ტყვიამფრქვევიდან დასაშვებია მაშინ, როცა თვითმფრინავები ფრინავენ დაბლა. უნდა გვახსოვდეს, რომ თვითმფრინავის მთავარი დანიშნულება ძიებაა. როცა გამოჩნდება მტრის თვითმფრინავი, არ შეიძლება გაამჟღავნო შენი ძალები, როგორც ეს ხდებოდა მსოფლიო ომის დროს: ასტყდებოდა უწესრიგო სროლა, ისროდა ყველა, ვისაც კი შაშხანა ეჭირა ხელში. ასეთი სროლა მტერს ვერაფერს ავნებს, ხოლო ძალებს კი ამჟღავნებს. ამიტომ მტრის თვითმფრინავების წინააღმდეგ საბრძოლველად ინიშნება განსაკუთრებული ნაწილი.

მაგრამ ბრძოლის საუკეთესო საშვალება—ეს არის შენიღბვა, რათა ერთის მხრივ დავფაროთ მტრისაგან ჩვენი მოქმედება, მოთავსება და სხვ., ხოლო მეორეს მხრივ—შევიყვანოთ ის შეცდომაში ე. ი. უჩვენოთ ის, რაც სინამდვილეში არაა:

ბოლოს არის კიდევ ერთი საშუალება მტრის თვითმფრინავების ღამით მოქმედების წინააღმდეგ. ამიტომ ორს ან რამოდენიმე ჰაეროსტატზე მნიშვნელოვან უბნებში გააბამენ თოკების ქსელს. თუ რომ მტრის თვითმფრინავი ღამით შეეჩეხა ამ ქსელს, გაებმება შიგ და განადგურდება.

პ.

# ძველ მსახურთა შორის მეცადინეობა

### ძველი მსახური ახალგაზრდა მეომრის მაგალითი უნდა იყოს

სწავლების გეგმა ითვალისწინებს განსაკუთრებულ მეცადინეობას ძველ მსახურთა შორის. ამ მეცადინეობის მიზანია გააფართოვოს პირველ წელში მიღებული ცოდნა იმ ანგარიშით, რომ შვებულებაში წასვლის დროს წითელ არმიელს ჰქონდეს ომის დროის ათეულის უფროსის ცოდნა.

მაგრამ გარდა ამ მეცადინეობისა, ძველი მსახურები ენერგიულ მონაწილეობას ღებულობენ ახალგაზრდების მომზადებაში დაწყებული ზამთრის პერიოდის მეორე საფეხურიდან.

აქ ძველი მსახური დიდ როლს თამაშობს: ისინი მასწავლებელთა თანაშემწეებს წარმოადგენენ სროლის, ტაქტიკურსა და ფიზკულტურის საქმეში. მეტად მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ძველი მსახური ახალგაზრდებს სროლის ილეთების, დაზგიდან სარკეში დამიზნების გასინჯვაში და სხვა. შემდეგ ხიშტით კვეთების სწავლება, აირმსპობი და სხვა ასეთები ძველი მსახურის სავალდებულო სამუშაოა ახალგაზრდებთან.

ამას გარდა ახალგაზრდების საველე მეცადინეობასთან გასაცნობად სწარმოებს საჩვენებელი ტაქტიკური სწავლება ძველ მსახურთა შორის. აქ ძველი მსახური მაგალითი უნდა გახდეს, ვინაიდან მისგან სწავლობს ახალგაზრდა მეომარი.

ეს მეცადინეობა აფართოებს და ამტკიცებს ცოდნას, რომელიც საჭიროა ძველი მსახურისთვის, როგორც მომავალი მეთაურისთვის.

ამრიგად ძველი მსახური ერთის მხრივ ემზადება მეთაურის როლისთვის, მეორეს მხრივ—გადის ინსტრუქტორის პრაქტიკულ სკოლას. ყველა ეს გვიჩვენებს, რომ ძველი მსახურის მომზადებას სწავლების გეგმის მიხედვით დიდი ყურადღება ექცევა. ამრიგად ძველი მსახური პასუხის მგებელია არა მარტო თავისთვის, არამედ იმ ახალგაზრდა წითელ არმიელთათვისაც, რომლებსაც მან უნდა ასწავლოს მომავალში.

პ.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ბიბლიოთეკამ მიიზიდა წითელ-არმიელები.

### 3 მე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის ბიბლიოთეკას არა აქვს დიდი ხნის ისტორია, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაშიც შესძლო მან თვის მიზნისადმი მიღწევა. ბიბლიოთეკა მდიდარია ბევრი სხვა და სხვა შინაარსის წიგნებით. თანდათან მატულობს ლეგიონში მისი მუდმივი მკითხველთა რიცხვი. ლიტერატურა დანაწილებულია, პოლიტ-ცოდნისათვის და სამხედრო კუთხეების ჯგუფებისათვის ცალცალკე. ბიბლიოთეკა ყოველთვიურად ისეთ წიგნებს აწვდის ლენკუთხეს, რომლებიც უფრო საინტერესონი არიან წითელ არმიელებისათვის.

ამ ჟამად ბიბლიოთეკის მკთხველთა რიცხვი ლეგიონში აღწევს 500-დე.

სამწუხაროდ არიან ისეთი წითელ არმიელებიც, რომლებსაც ძლიერ ეზარებათ სამკითხველოში შესვლა, მაგრამ იმედია ჩვენი ბიბლიოთეკა, ნაწილის მეთაურების, ლენკუთხების და სხვათა შემწეობით, მალე მოუღებს ამასაც ბოლოს, და ერთი არმიელიც არ დარჩება ლეგიონში, რომ არ გახდეს ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველი.

წ. არმ. ბ. იოსელიანი.

## ენერგიულად ვეწევით მოსახლეობის გასამხედროებისათვის მუშაობას.

### მე-4 ლეგ. მე-3 ასეული.

წვევამდელთა მეცადინეობა დამთავრდა და მთელი მუშაობის სიმძიმე ჩვენთან გადატანილი იქნა სამხედრო საქმის გასაფართოებლად სოფლად, ცვალებად წითელარმიელებსა, წვევამდელებსა და გლეხ ახალგაზრდათა შორის.

ამ ჟამათ ასეულს მოწყობილი აქვს სამხ. კუთხეები, ოთხ ადგილზე; ორი ქ. ცხინვალში, რომლებიც სრულიად აკმაყოფილებენ თავის დანიშნულებას. ყოველ კვირას სისტემატიურად მიმდინარეობს სხვა და სხვა მეცადინეობები, როგორც ცვალებად, ისე წრის წევრთა შორის აწზადებს აქტივისტ ამხანაგებს სოფლად არსებულ კუთხეებში მუშაობისთვის; დღითი დღე უფრო და უფრო მეტი ხალხი ეწაფება სამხედრო ხელოვნების შესწავლას.

მესამე სამხ. კუთხე მოწყობილი გვაქვს სოფ. ერედვში და მეოთხე სოფ. კორნისში. უკანასკნელში ცოტა მოისუსტებს მუშაობა მისი ტეხნიკურად მოუწყობლობის გამო.

კუთხეებში არსებობენ სამხ. ცოდნის წრეები, რომლებიც აერთიანებენ 97 წევრს.

თითეულ მათგანში გამოყოფილია აქტივი ჯგუფები ხელმძღვანელობისათვის. წევრთა შორის მეტ ყურადღებას იქცევს სროლის საქმეში მეცადინეობა. განზრახულია მოეწყოს შეჯიბრის ხასიათის სროლა.

კარგი იქნება, რომ კუთხეების ტეხნიკურად მოწყობაში დაგვეხმარებოდეს ლეგიონი, რითაც უფრო გაცხოველდება ინტერესი მუშაობისადმი.

სამხკორი ხონელიძე.

## ვმეცადინეობთ სამხკორთა სემინარში.

### მე-3 ლეგიონი.

რამოდენიმე ხანია, რაც ლეგიონში დაარსდა სამხკორთა სემინარი. ახლად მოსული წითელ არმიელები დიდი ხალისით ჩავებით ამ მეტად საინტერესო საქმეში. კარგად მომზადებული ხელმძღვანელი უფრო ზრდის ჩვენს ასეთ დაინტერესებას. ჯერჯერობით სემინარში გავიარეთ 10 ლექცია, რომელიც შესაფერი მდაბიო და გასაგები ენით იქნა წაკითხული. ჩვენც ენერგიულად ვიწერდით კონსპექტებს და ვსწავლობდით.

იმედი გვაქვს სულ მალე შევსძლებთ ჩვენც დავიკავოთ საპატიო ადგილი ჩვენს სამხკორებს შორის. საამისო მომზადება თითქმის, ეხლაც შევვწევს და შემდეგი მეცადინეობით ხომ კიდევ უფრო მოვღონიერდებით.

წ. არმ. პარ. პაიჭაძე.

## მეტი სიმტკიცეა საჭირო.

### 2 რე ლეგ. პარტსკოლა.

ლეგიონში დაარსებულია პირველი—და მეორე საფეხურის პარტსკოლა, რომლის მეცადინეობა პირველ ხანებში კარგად მიმდინარეობდა. მეცადინეობას უკლებლივ ესწრებოდენ ყველანი და მეცადინეობასაც სისტემატიური ხასიათი ჰქონდა.

სამწუხაროდ მეორე სკოლაშიც ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ შენელდა ამხანაგების მუყაითობა. უკვე სამი მეცადინეობა იქნა გამოშვებული იმის გამო, რომ ამხანაგები არ დაესწრენ მას. წრეში სულ 30 ამხანაგამდე შედის 5—6 დაესწრო მეცადინეობას.

საჭიროა ენერგიულად მოჰკიდონ ხელი ამხანაგებმა მეცადინეობას და თვითვე მიყონ ხელი მუყაითობას.

სამხკორი გ. ლ.

## მისაბაძი მაგალითი.

### მე-2-რე ლეგიონი.

ჩვენი ნაწილი ეს ერთი ხანია შეუდგა მოწყობის საქმეს. განსაკუთრებით ენერგიული მუშაობა სწარმოებს საალმშენებლო საქმეში. თავიდანვე განვიცდიდით შენობების ნაკლებობას, რის ბოლო მოღება საკუთარი ძალით დააპირა ნაწილმა და კიდევაც შესძლო.

დღემდე ლეგიონს არ ჰქონია წითელ არმიელების სასადილოსათვის შენობა. არ გვქონდა მაგიდები, სკამები და იძულებული იყვნენ ამხანაგები გარეთ, საწოლ ბინებში, დერეფნებში და სხვაგან ესადილნათ.

ამ ჟამად ეს ნაკლი მოსპობილია. ლეგიონმა საკუთარი საშვალებით შესძლო საკმაოდ მოზრდილი შენობის აგება, რომელშიდაც მოთავსებული იქნა სასადილო. დამზადებული იქნა 10 დიდი მაგიდა, სკამები და სხვა. საინჟ. ნაწილმა დიდი ყურადღება გამოიჩინა ყველა ამ საქმეებში, რის გამო მადლობის ღირსია ის. იმედია ასე წარმატებით დაამთავრებს ის ყველა დაწყებულ საქმეებს.

სამხკორი ვ. ლ.

## მეცადინეობა ენერგიულად მიმდინარეობს

### მე-3-მე ლეგიონის 8-ვე ასეული

ლეგიონის მერვე ასეულის წითელ არმიელები დაყოფილი არიან ოთხ ჯგუფად ცოდნისდა მიხედვით. მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად ყოველ დღე 2 ნახ. საათი. პოლიტ-ხელმძღვანელისა და მასწავლებლის გარდა მოწვეული არიან ჯგუფის ხელმძღვანელებად ამავე ასეულის ოცეულის მეთაურები, რომლებიც პირნათლად ასრულებენ ამ დავალებას.

წითელ არმიელებს მთელი 100 პროც. დაინტერესებულია ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმით და დიდის ხალისით ეკიდებიან პოლიტ-სასკოლო მეცადინეობის საქმეს. სულ მოკლე ხანში ჩვენს ასეულში არ იქნება არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი და აგრეთვე პოლიტიკურად მოუმზადებელი.

ვიმედოვნებთ, რომ მათი ასეთი მეცადინეობა არ შესუსტდება და მოგვცემს შესაფერ ნაყოფს.

სამხკორი თვალთვაძე.

## დავიახლოვეთ ადგილობრივი ახალგაზრდობა.

### მე-5 ლეგ. მე-3 ათასეული.

ლეგიონის მე 3 ათასეულის კლუბი გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა.

სისტემატიურად ტარდება საუბრები საკლუბო მუშაობის შესახებ, რომელსაც დათმობილი აქვს კვირაში 3-მი საათი. იდგმება ფასიანი და უფასო წარმოდგენები.

ყოველ საღამოობით კლუბში თავს იყრის ოზურგეთის ახალგაზრდობა და ერთობიან გაზეთებისა და წიგნების კითხვით და სამხედრო და პოლიტიკურ სურათების დათვალიერებით. დიდ ინტერეს იწვევს ახალგაზრდობაში სხვა და სხვა სისტემის თოფების გამოცნობა, რომელიც გაკრულია სამხედრო კუთხეში.

კლუბთან დაარსებული იყო აგრეთვე დრამ-წრე, რომელშიდაც მონაწილეობას მარტო სამხედრო პირები ღებულობდენ, მაგრამ როდესაც გაეცნენ ტერ. ნაწილის მნიშვნელობას და მის მიზანს გლეხურ ახალგაზრდობასთან დაკავშირების შესახებ, შემოგვიერთდა ოზურგეთში არსებული ახალგაზრდათა დრამ-წრის წევრები და ჩვენთან ერთად დაიწყეს გაცხოველებული მუშაობა.

ახკორი შ. დოლიძე,

## ვირაზმებით საბჭოთა არჩევნებისათვის.

### 6-ე ლეგ. 3-ე ათასეული.

ცვალებად წითელი არმიელებს სახლში გაშვების დროს მიეცათ პოლიტგანყოფილებისაგან ნაკაზი სოფლად მუშაობის შესახებ, რომელსაც ამხანაგები პირნათლად ატარებენ ცხოვრებაში. ამ გარემოებას ნათელს ჰფენს ათასეულის ტერრწმუნებულთა თათბირები, რომლებიც ჯამს უკეთებენ ცვალებადელების სოფლად საქმიანობას და აძლევენ ხელახალ დავალებებს. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა 24 იანვარს მომხდარი ტერრწმუნებულთა თათბირი ათასეულში. თათბირმა დაწვრილებითი დარიგებები გამოიმუშავა იმის შესახებ, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ ცვალებადელებმა საბჭოების არჩევნებში და როგორი ამხანაგები უნდა გაიყვანონ საბჭოებში.

თათბირმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც ყველა ტერრწმუნებულს ევალება ხელი შეუწყოს ადგილობრივ ორგანიზაციებს აღნიშნული კამპანიის სისწორით ჩატარებაში.

კამათი გამოიწვია, შეიძლება თუ არა ცვალებადელების საბჭოებში გაყვანა.

როგორც გამოირკვა ძველ საბჭოებში უკვე ყოფილან ზოგიერთ ადგილებში გაყვანილი ცვალებადელები და კარგი ავტორიტეტითაც სარგებლობენ.

ამიტომ თათბირმა დაადგინა ამ მიზნით კავშირი დაიკავონ აგრეთვე უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელებთან და შეეცადონ პატიოსანი და გავლენიანი პირების გაყვანას.

სამხკორი მ. ლ. ახალკაცი.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### 1-ლი ესკადრონის უჯრედი.

ცხენ, ლეგიონი.

ლეგიონის 1-ლ ესკადრონში 29 იანვარს შესდგა კომუჯრედის ღია კრება. დაესწრნენ პარტიულები, ახკომკავშირელები, კანდიდატები და უპარტიო ამხანაგებიც. კრებამ მოისმინა კომკავშირის ჯგუფის ორგანიზატორის მუშაობის საანგარიშო მოხსენება, რემედსის და ავიოქიმის საქმიანობაზე და დასასრულ განიხილა ერთი ამხანაგის ანკეტა პარტიაში შესვლის შესახებ. კრებამ არა დამაკმაყოფილებლად სცნო ამხანაგის მომზადება და მისცა ამისათვის ერთი თვის ვადა.

ავიოქიმის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა, ხოლო რემედსის კი სუსტად იქნა ცნობილი. არჩეული იქნა რემედსის უჯრედში დამატებით სამი ამხანაგი და მიეცათ წინადადება გამოაცხოველონ მუშაობა.

მოწონებული იქნა აგრეთვე კომკავშირის მუშაობაც. კრებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა უპარტიოებზე.

სამხედრო ნადარეიშვილი.

### მე-5 ლეგიონი.

ლეგიონის ახკომკავშირელთა ჯგუფები ამჟამად აერთიანებენ 70 ახკომკავშირის წევრს. ჯგუფები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მუშაობის გაღრმავებას უპარტიო წითელ არმიელთა შორის, სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის განმტკიცებას, ყოფა ცხოვრების საკითხებს და მრავალი სხვას.

26 იანვარს შესდგა ლეგიონის პირველი და მე-2 ჯგუფის გაერთიანებული კრება. განსახილველი იყო კავშირში მისაღებ ამხანაგების განცხადებები და სამაზრო კონფერენციისათვის დელეგატების არჩევა.

კავშირში მისაღებ ამხანაგების განცხადებების განხილვამ დიდი კამათი გამოიწვია. მიღებული იქნა მხოლოდ ერთი, ხოლო მეორეს შესახებ გადიდო მომავალი კრებისათვის.

დასასრულ არჩეულ იქნა კომკავშირის სამაზრო კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატები.

სამხედრო მ. ჭყონია.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

## მეცნიერება და ტეხნიკა

### აეროპილი.

ავსტრიელ ინჟინერმა მაიკემპერიმ გამოიგონა „აერომობილი“ ე. ი. ისეთი ჰაეროპლანის ტიპი, რომელსაც ადვილად შეუძლია ქალაქის ქუჩებში მოძრაობაც. თავისი აგებულობით აერომობილი ძლიერ წააგავს ჰაეროპლანს. ქალაქში მოძრაობის დროს, ფრთები და პროპლერი შეიკეცებიან და ჩნდება მეოთხე თვალი —ბორბალი.

აერომობილს არ სჭირდება განსაკუთრებული ანგარი—ჰაეროპლანების შესანახი აღგილი-შენობა, და თავისუფლად თავსდება ჩვეულებრივ გარაჟშიც.

### გაზი თუ ელექტრონი?

ელექტრონული ენერგიისა და გაზების შორის ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა პირველის სრული გამარჯვებით. ამერიკაში გაზი ჯერ კიდევ დიდ მეტოქეობას უწევს ელექტრონობას, და მომხმარებლები ცოტა სარგებლობას არ ნახულობენ ამ მეტოქეობით, რადგან გაზის და ელექტრონის მწარმოებელი კამპანიები სცდილობენ დაუკლონ ფასები ერთმანეთთან მეტოქეობის მიზნით,

სტატისტიკური ცნობის მიხედვით, გაზის მოხმარება ამერიკაში ამ უკანასკნელ წელში გაიზარდა 20 პროცენტით და აღწევს წლიურად 25 მილიონ კუბიკურ მეტრამდე. ამიტომ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გაზის ხმარება უკვე განდევნილია ელექტრონული ენერგიის შემდეგო, არ არის მართალი.

### კიბო და რადიუმი.

რადიუმის გამოყენება კიბოს წინააღმდეგ აქიმობისათვის ძლიერ გავრცელებულია ამ ჟამად და როგორც ფართო საზოგადოება, ისე ექიმი სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ მასზე. მიუხედავად ამისა მას მაინც არა აქვს საკმაო მეცნიერული საფუძველი.

რადიუმი და ეგრ. წოდებული X-ს სხივები ყოველთვის ვერ არჩენენ კიბოს: მაგალითად რადიუმი სრულიად უძლურია მაშინ, როდესაც კიბოს ავადმყოფობა ორგანიზმში იწვევს ხელმეორე გამოჩენას. უძლურია ის მაშინაც, როდესაც კიბოს ავადმყოფობა გადადის ორგანიზმის ჩონჩხზე. ასევე შეიძლება ითქვას საჭმლის მომნელებელ ორგანოებში გაჩენილ კიბოზედაც.

ზოგიერთ შემთხვევებში, მიუხედავად ამისა რადიუმს აუცილებლად დიდი სარგებლობა მოაქვს და სრულიადაც სპობს კიბოს, თუ ის გაჩნდა კანზე, ტუჩებზე, ენაზე, პირის სიღრუეში და საშვილოსნოზე.

## თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან

### № 15

29 იანვარი, 1926 წ. ქ. თბილისი.

ს. ს. ს. რ. ტერიტორიალური სამმართველოს უფროსის ა. წ. 28 იანვრის № 206 ფოსტა დეპეშის თანახმად, 1905 წ. დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევამდე სამხედრო მომზადების ჩატარების მიზნით

### ც ხ ა დ დ ე ბ ა

1. ყველა მოქალაქენი, დაბადებულნი 1905 წელში, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ შესაკრებ პუნქტზე დილის 9 საათისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად და სამხედრო მომზადების მიზნით სასწავლო პუნქტზე მისაწერად თანახმად ქვემო აღნიშნულისა:

| რაიონების დასახელება | გამოცხადების დრო | გამოცხადების ადგილი |
|---|---|---|
| თბილისის 1 და 2 სამილ. უბანი | ა-წ. 2 თებერვ. | თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის ეზოში, სადგურის ქ. № 24. |
| „ 3-ე, 4-ე „ „ | ა-წ. 3 „ | |
| „ 5, 6 და 7 „ „ | ა-წ. 4 „ | |
| „ 8-ე და 9 „ „ | ა-წ. 5 „ | |
| „ 10 და 11 „ „ | ა-წ. 6 „ | |
| „ 12-ე „ „ | ა-წ. 7 „ | |
| ბორჩალოს მაზრის ლიუქსემბურგის რაიონი | ა-წ. 5 თებერვ. | ქ. ლიუქსემბ. სამოსწ. პუნქტი |

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება: 1905 წ. დაბადებულ მოქალაქეებზე, რომლებიც მსახურობენ ამ.-კავკასიის რკინის გზებზე და ჯარში გაწვევამდე მომზადებას გადიან საგანგებო წესით. ბ) საგანგებო კომისიის 1905 წ. დაბადებული თანამშრომლებზე, რომლებიც წვევამდე სამხედრო მომზადებას გადიან სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარის ერთეულებში. თანახმად მუშათა და გლეხთა წითელ არმიის მთავარ სამმართველოს 1925 წ. 24/6 № 41822 ცირკულიარისა.

2. ყველა უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტები და აგრეთვე ყველა საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი, დაბადებულნი 1905 წ., თანახმად ამ განცხადებისა, შეკრებაზე გამოცხადებისაგან არ თავისუფლდებიან და გაწვევამდე სამხედრო მომზადება უნდა გაიარონ საერთო წესით, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტის 1905 და აგრეთვე 1904 წ. დაბადებულნი სტუდენტები, შესაცვლელად თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის 1926 წ. 14—1 № 14 განცხადებისა, რაიც იყო გაკრული სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში და გამოქვეყნებული პრესაში (გაზეთებში: „ზარია ვოსტოკა“ № 1078 და „რაბოჩაია პრავდა“ № 11, 1857 ა. წ. 15 იანვრიდან, „კომუნისტი № 12 და „მუშა“ № 947 ა. წ. 16 იანვრიდან) უნდა გამოცხადდენ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად და უნივერსიტეტის სამოსწავლო პუნქტზე მისაწერათ თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე (სადგურის ქ. № 24) ამა განცხადების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დღეებში.

3. შესამოწმებლად გამოცხადებისას წვევამდელებმა უნდა იქონიონ: პირადი წიგნაკი ფორმა № 4, რომელიც მათ მიიღეს გაწვევის უბანზე მიწერის დროს და პირადობის მოწმობ.; ავადმყოფებმა კი, გარდა ამისა, მოწმობა, გაცემული რაიონის ექიმის ან სამკურნალო დაწესებულების მიერ. პირადი წიგნაკი ფორმა № 4-ის ნაცვლად, ვისაც ასეთი არ აქვს, უნდა იქნას წარდგენილი მეტრიკული ამონაწერი ან მოწმობა დაბადების წლის შესახებ.

4. ყველა სახელმწიფო (სამოქალაქო), საზოგადოებრივი და კოოპერატიული დაწესებულებანი და წარმოებანი ვალდებულნი არიან გაანთავისუფლონ სამსახურიდან ამ განცხადების პირველ მუხლში აღნიშნულ დღეებში მათთან სამსახურში მყოფი მოქალაქენი, რომლებსაც ეხებათ გამოცხადება.

5. სამედიცინო კომისიის მიერ ვარგისად ცნობილი და ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადების გასავლელად დანიშნულნი, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სათანადო წერტებზე სამეცადინოთ, ამისთვის მტკიცეთ განსაზღვრულ დღეებში და საათებში. მეცადინეობა სამოსწავლო წერტებზე დაიწყება ა. წ. 19 თებერვალს და დამთავრდება ა. წ. 5 მარტს.

6. ყველა 1905 წ. დაბადებული მოქალაქენი, რომლებიც მოერიდებიან თავის დროზე გამოცხადებას, თანახმად ამ განცხადებისა, ან მოქალაქენი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მორიდებულთა დაფარვას, პასუხს აგებენ ს. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით და, გარდა ამისა, ნამდვილ სამხედრო სამსახურში, მორიგი გაწვევის დროს კარგავენ ოჯახური მდგომარეობის გამო შეღავათით სარგებლობის უფლებას.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარი ხაჟვარელიძე.

თანაშემწე მ მგელობაძე.

სამობილიზაციო ნაწილის უფროსი ხიდამონ-ერისთავი.

## აბა გამოიცანი?

### ამოცანა № 7.

A და B-ს შორის რომელი მოიგებს თუ მათ ხტუნვით უნდა გაიარონ 182 ფუტი და ხტომა შეიძლება არა ნაკლებ 3 ფუტისა და არა უმეტეს 10 ფუტისა?

## ვინ იქნება შემდეგი?

ამხ. გ. ი. საათაშვილის გამოწვევის თანახმად ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს“ გორის მაზრის სოფ. ბერძენაულის ქოხ-სამკითხველოსთვის სამი თვით 1-ლ თებერვლიდან, და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ირკ. ლულნაძეს, ა. გიორგობიანს, და ვ. კოხრეიძეს.

1-ლ ლეგ. ამხ. გ. გელაშვილს (4-ხელეგ.) ამხ. კოწ. დევაძეს. (ნ-თე ლეგ.) ამხ. ტ. ჩახუნაშვილს, მეთაურთა სკოლიდან ამხ. ნ. თავართქილაძეს, ა. ურუშაძეს. (სამხედრო პოლიტ-სკოლიდან).

ამხ. კ. ქ დაგიშვილს, შ. ნამგალაძეს, კ. გვიჩიას, თ. თელიას, ვ. არაქელოვს, იორამაშვილს, იაკაშვილს, დ. ჭინკვეტაძეს, ლ. ზაუტაშვილს. გ. ხომერიკს, ვ. დოლიძეს. ი. შონიას, გ. ყურიშვილს. (მე-6-ე ლეგ.)

მ. ახალკაცი.

## განცხადება

კვირას 31 იანვარს დილის 10 საათზე ვაკეში შესდგება სროლაში ტფილისის მსროლელთა შეჯიბრი პირველობისათვის.

სროლაში მონაწილეობენ ის პირები, რომლებმაც წინასწარ გამოცდებში მიიღეს მონაწილეობა.

ქალაქის კომენდანტი აბაშიძე.

## დაიკარგა

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის სამნეო ნაწილის ჩეკის წიგნის № 68, ტალონი № 93, რომლითაც ა. წ. 14 იანვარს მიღებულია 15 ფუთი ხორცი. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ლეგთავის თანაშემწე სამნეო დარგში კვარაცხელია.

გაავრცელე

გაავრცელე

## ამხანაგო წითელ არმიელო!

გახსოვდეს შენი მოვალეობა.

გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.

ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—

რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,

რამდენი ხელისმომწერი უშოვე

„წითელ არმიელ“-ს

გაზ. „წითელ არმიელი“

გაზ. „წითელ არმიელი“

## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.

3 თვით — 1 მ. 35 კ.

6 თვით — 2 მ. 50 კ.

12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.

3 თვით — 1 მ. 10 კ.

6 თვით — 2 მ.

12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი